წერილის ნომერი:**31-31263025**
თარიღი: **29/10/2026**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს“ თავმჯდომარის მოადგილის გოგი მორჩლაძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან

დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ოქმი.

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

შეხვედრის ადგილი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 26.10.2026 წელი 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **ნანა ბზეკალავა,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ თანამშრომლები.

გოგი მორჩილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ის 2025 წლიდან არის საკრებულოს წევრი. მისი, როგორც საკრებულოს წევრის მოვალეობაა ყოველწლიური ანგარიში ჩააბაროს ამომრჩეველს. ამჟამად თანამდებობრივად ის არის ფრაქცია „ხალის ძალას“ თავმჯდომარის მოადგილე, ასევე „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის“ და „ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა“ კომისიების წევრი. ის რეგულარულად ესწრება ფრაქციის, კომისიებისა და საკრებულოს სხდომებს.

მან განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება, საკრებულოს წევრები ცდილობენ, ყველა ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდეს ინფრასტრუქტურული პროექტები. მან ვრცლად ისაუბრა და აღნიშნა, რომ თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა შიდა გზების სარეაბილიტაციო და დამცავი კედლების, ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოები, რომელიც სტიქიის შედეგად დაზიანდა. ამჟამად ქალაქში მიმდინარეობს თავისუფლერბის ქუჩის სრული რეაბილიტაცია. ქალაქის ტერიტორიაზე მოეწყო მოსაცდელები, რომლებიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.ზოგიერთი პროექტი დასრულებულია ან მიმდინარეობს სამუშაოები: მაჩხვარეთის, ჩოჩხათის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში აშენდა ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონები; მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ორაგვეში დასრულდა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მეორე ნაწილის სამუშაოები (ზიპლაინის მოწყობა); ჩიბათის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოეწყო გარე გამოყენების ფიტნეს-ტრენაჟორები;

გოგი მორჩილაძემ განაცხადა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში გრძელდება ტურისტული ზონის რეაბილიტაცია, სადაც ფიჩორის ხეობიდან ვიზიტორებს ეძლევათ შესაძლებლობა, გავიდნენ პალიასტომის ტბაზე და დატკბნენ რეგიონის უნიკალური ველური ბუნებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით. ტერიტორიაზე მოეწყო 9 კილომეტრიანი ელექტრომაგისტრალი, რომლის ქსელში ჩართვის სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს. ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერითა და დაფინანსებით, აღნიშნულ გზაზე დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი. ეს პროექტი სტრატეგიულია როგორც ტურიზმის განვითარებისთვის, ასევე ადგილობრივების მხარდასაჭერად. ამ მონაკვეთზე მდებარეობს 50-მდე ფერმერული მეურნეობა, რომლებიც მეცხოველეობას, მეფუტკრეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს ეწევიან.

ასევე ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ სამსახურს აქვს 14 სოციალური პროგრამა, რომელშიც შეძლებისდაგვარად გათვლილია და მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე შესაბამისობაშია ეს პროგრამები. განსაკუთრებით „შშმ პირთა დახმარების პროგრამა“; „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ და „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“.

მან ასევე აღნიშნა, რომ ჯანდაცვის კუთხით მუნიციპალიტეტში პრობლემაა. ორი საავადმყოფოა და არ ჰყავთ ქირურგი და ტრამვატოლოგი. მოსახლეობის მოთხოვნაა ადგილზე იყოს სრულყოფილი სტაციონარი და ჰყავდეთ კვალიფიციური ექიმები. მითუფრო ლანჩხუთს ყოველთვის ჰყავდა წარმატებული ექიმები. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრები შეხვდნენ საავადმყოფოს მენეჯერებს, იმედოვნებენ რომ პრობლემა მოგვარებული იქნება.

გოგი მორჩილაძემ ყურადღება გაამახვილა სპორტულ ინფრასტრუქტურაზე და აღნიშნა, რომ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, მუნიციპალიტეტში ყველა თემში აქტიურად ხორციელდება ხელოვნურსაფრიანი სტადიონების მოწყობა; ასევე, სულ მალე ლანჩხუთს ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზი, „გუირიას“სტადიონი და მის მიმდებარედ სპორტული კომპლექსი.

მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში პრობლემაა სასმელი წყლის მიწოდება. უმეტეს თემში არის ტექნიკური წყალი, მაგრამ ხშირად ისიც უვარგისია. მართალია დიდ თანხებთნაა დაკავშირებული მაგრამ უნდა მოგვარდეს. ასევე ქალაქის ტერიტორიაზე საკანალიზაციო მილები მოძველებულია და შეცვლას საჭიროებს.

შეხვედრის ბოლოს საკრებულოს წევრმა, გოგი მორჩილაძემ მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და აღნიშნა, რომ მისი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმუმს გააკეთებს იმისთვის, რომ მოგვარდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აწუხებს, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სოციალური კუთხით.

პატივისცემით,

გოგი მორჩილაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ხალხის ძალა“ თავმჯდომარის მოადგილე